სსსმ მოსწავლისადმი თანატოლთა თანადგომის ხელშემწყობი სტრატეგიები

მარიკა ბერიძე

ანა მამულაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წერების შესაბამისად”.

მარიკა ბერიძე,ანა მამულაშვილი

22.06.2024

აბსტრაქტი

პრაქტიკის კვლევის მსვლელობისას მოპოვებული მონაცემების საშუალებით დადგინდა, რომ მასწავლებლისთვის მხარდამჭერი ქცევების და სტრატეგიების სწავლება დადებით შედეგს იძლევა, რომელიც გამოვლინდა კლასში მოსწავლის ჩართულობის ცვლილებით.

კვლევაში გამოყენებულია, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. მასში მონაწილეობდა კლასის ხელმძღვანელი. სამიზნე ქცევის რაოდენობა იყო ექვსი, აქედან სამი მასწავლებლის და სამი თანაკლასელების.

ყველაზე მაღალი შედეგები დაფიქსირდა მასწავლებლის მიერ მოძიებული და შექმნილი სასწავლო რესურსების გამოყენების შემთხვევაში, ასევე, შექება და სასწავლო მასალების ადაპტირების სიხშირეთა ზრდა. შესამჩნევია, რომ ის სამიზნე ქცევები, რომლებსაც მასწავლებელი ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებდა, შედეგებში მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. მონაცემების დამუშავების შემდეგ გამოიკვეთა, რომ დადებითი მხარდამჭერი მიდგომა ეფექტურია მოსწავლეთა ქცევაზე მუშაობისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სსსმ მოსწავლე, თანადგომა, მეგობრობა, ინტერვენცია.

Abstract

Using practice research data, supportive teacher behaviors and strategies have been shown to produce outcomes, as evidenced by increased student engagement in the classroom. Both qualitative research methods were employed in the study. The head of the class participated in the research. Six target behaviors were identified-three from the teacher and three from classmates. The most significant results were observed in the use of learning resources found and created by the teacher, as well as an increase in the frequency of adapting teaching materials. Notably, behaviors that the teacher initially used infrequently or not at all demonstrated a sharp increase in effectiveness. After analyzing the data, it was determined that the positive support approach is effective in influencing student behavior.

Main search terms: SSE student, support friendship, intervention.

მადლობა

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო გოგიჩაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევის ყველა მონაწილეს, თანამშრომლობითვის. სკოლის დირექტორს, საგნის მასწავლებელს, სპეციალურ მასწავლებელს, მშობელსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს.